გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
განკარგულება № 39
2024 წლის 11 მარტი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალუბნის ცენტრში საინფორმაციო-მაჩვენებელი საგზაო ნიშნის განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია ახალუბნის ადმინისტრაციული ერთეულიში მერის წარმომადგენელის მოხსენებითი ბარათი, რომლითაც მოთხოვნილია გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალუბნის ცენტრში სოფელ აძვის მიმართულების მაჩვენებელი საგზაო ნიშნის განთავსება.

აღნიშნული საკითხი შეისწავლა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ და მიზანშეწონილად მიიჩნია გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალუბნის ცენტრში განთავსდეს საინფორმაციო-მაჩვენებელი საგზაო ნიშანი 7.10.1-მიმართულების მაჩვენებელი „აძვი ↑ “.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალუბნის ცენტრში განთავსდეს საინფორმაციო-მაჩვენებელი საგზაო ნიშანი 7.10.1-მიმართულების მაჩვენებელი „აძვი ↑ “.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალუბნის ცენტრში განთავსდეს საინფორმაციო-მაჩვენებელი საგზაო ნიშანი 7.10.1-მიმართულების მაჩვენებელი „აძვი ↑ “.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**